საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №55
2022 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბრის №69 ბრძანებით (ვებგვერდი, 23/09/2016, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016415) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლის „ა“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ“ ქვეპუნქტი:

„ა.დ) საერთაშორისო ურთიერთობების კომუნიკაციისა და საინფორმაციო გარემოს ანალიზის განყოფილება.“.

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სტრატეგიული კომუნიკაციების პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილების კომპეტენციაა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ვ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება.“.

4. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საერთაშორისო ურთიერთობების კომუნიკაციისა და საინფორმაციო გარემოს ანალიზის განყოფილების კომპეტენციაა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“–„ი“ „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**